# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

22 სექტემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№39 (9249)
ფასი 40 თეთრი


### „ბორჯომ-ქალაქობა - 2022“

## ზეიმი, რომელიც მუდამ ჩვენთან იქნება

**„ბორჯომ-ქალაქობა - 2022“** მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა. ბორჯომის ცენტრალურ-ისტორიულ პარკში, სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა დილიდან ღონისძიებებით დაიწყო. ისტორიული პარკის მიმდებარედ ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, ადგილობრივმა ხელოვანებმა საკუთარი ხელით შექმნილი ნივთები წარმოადგინეს.

დღესასწაულზე გაიმართა ბაკურ სულაკაურის წიგნების გამოფენა-გაყიდვა. გამომცემლობამ დღესასწაულთან დაკავშირებით მკითხველებს წიგნები ფასდაკლებით შესთავაზა.



ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკში მოეწყო წითელი ჯვრის კუთხე. ადგილობრივი მოხალისეების ხელით დამზადებული ხელნაკეთი სიმბოლური საჩუქრებითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ ადგილობრივებს და ქალაქის სტუმრებს. ხელნაკეთ ნივთებთან ერთად ადგილობრივებსა და ჩამოსულ სტუმრებს საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებიც დაურიგეს.

პარკის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონები უფასოდ მოემსახურა ადგილობრივ და სტუმრად მყოფ პატარებს.

მოეწყო „ხატის კუთხე“, სადაც პატარებმა თავისი სურვილები დახატეს.

ტყემლების ხეივნის გასწვრივ მოეწყო ადგილობრივი. ახალგაზრდა მხატვრების ნახატების გამოფენა.



ყველაზე საინტერესო და ფერადი წარმოდგენა უკვე დღის მეორე ნახევარში გაიმართა, როდესაც ისტორიული პარკის ტერიტორიაზე გამოჩდნენ მსახიობები ოჩოფეხებზე, ასევე ცოცხალი ქანდაკებები, მიმები, დრამები და ილუზიონისტი.

გაიმართა თოჯინების თეატრის წარმოდგენა, ბავშვები ჩაერთნენ მოძრავ მხიარულ თამაშებში.

გაიმართა გიგანტური საპნის ბუშტების მასტერკლასი.

საგანგებოდ მოწყობილ „ფოტო კუთხეში“ ოჯახებს საშუალება ჰქონდათ გადაეღოთ სამახსოვრო ფოტოები. ე.წ. „გაცოცხლებულ სურათებში“.

დღის 4 საათზე ბორჯომის საზოგადოების წარმომადგენლები მტრედის ხიდის მიმდინარე სკვერში შეიკრიბნენ, სადაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბორჯომის ღვაწლმოსილი პიროვნების, შესანიშნავი ექიმის და საზოგადო მოღვაწის, აწ გარდაცვლილ ბატონ მიხეილ თვაურის სახელობის სკვერი. აღიარებული „სახალხო მკურნალის“ სკვერი საზეიმოდ გახსნეს ქალაქის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და ბატონ მიხეილის ქალიშვილმა **მანანა თვაურმა.** სკვერის გახსნას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** საკრებულოს დეპუტატები და მერიის პასუხისმგებელი პირები. ღვაწლმოსილი ბორჯომელის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს **ოთარ არბოლიშვილმა,** გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ.** ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილემ **თედო მელიქიძემ,** ბორჯომის საპატიო მოქალაქემ საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის წევრმა მხატვარმა **თანგული ორთოიძემ.** დამსწრე საზოგადოება დიდი მადლიერებით შეხვდა ბორჯომელთა წინაშე ვალმოხდილი პიროვნების სახელობის სკვერის გახსნას, რაც ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნის არდავიწყების საუკეთესო მაგალითია.

დღის ბოლოს კი გახლდათ ღონისძიების კულმინაცია, სადაც ადგილობრივმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა, ხოლო 19 საათზე საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. 2022 წლის ბორჯომს სამი საპატიო მოქალაქე, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წამყვანი მსახიობი **პალიკო ნოზაძე,** ბორჯომის ბავშვთა ფედერაციის ხელმძღვანელი **ქეთევან ნოზაძე** და დასუფთავების სამსახურის წარმატებული თანამშრომელი **ამირან გოგოლაძე** ჰყავს. მათ აღნიშნული ტიტულის დამადასტურებელი დიპლომები, მედლები და 1000-1000 ლარიანი ვაუჩერები მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** და მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** გადასცეს.



გაზეთ „ბორჯომს“ საპატიო მოქალაქეებმა მოულოდნელი სიხარული გულახდილად გაგვიზიარეს:

***ქეთევან ნოზაძე,* ბავშთა ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი:** პირველად ვდგავარ სცენაზე და ძალიან ვღელავ. ულრმესი მადლობა ამ დაფასებისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტს, ბატონ ოთარ არბოლიშვილს, ბატონ დავით ზაალიშვილს გვერდში დგომისთვის, იმ სიხარულისთვის, რაც დღეს მე განვიცადე. ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მეტი მოტივაციაა ვიდგეთ ახალგაზრდობის განვითარების გზაზე უფრო დიდი შემართებით. როცა შენი საყვარელი ქალაქი ხედავს და შრომას გიფასებს - ეს უკვე დიდი ჯილდოა!

***ამირან გოგოლაძე,* ბორჯომის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი:** დღეს ვარ უბედნიერესი კაცი! სიტყვები არ მაქვს ამ სიხარულის გამოსახატად. ეს დაჯილდოვება ჩემთვის იყო მოულოდნელი ხელმძღვანელობისგან. მე მიყვარს ბორჯომი, მიყვარს მისი მოვლა. ეს ჩემი ვალია და მოთხოვნილებაც უკვე ამდენი წელი. მადლობა კიდევ ერთხელ ყველას, ვინც ჩათვალა საჭიროდ ჩემი გახარება.

***პალიკო ნოზაძე,* სახალხო არტისტი:** სულ ლექსად, სულ პოეზიის ენით მინდა მოვეფერო ჩემ ქალაქს. დღევანდელი საღამო დაუვიწყარი ბორჯომობაა ჩემ ცხოვრებაში. ადამიანი დააფასო იმ ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიო, სადაც დაიბადე და გაიზარდე, დიდი ბედნიერებაა მადლობა კიდევ ერთხელ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს, კულტურის სამსახურს, რომ ასე ლამაზად, ასე სოლიდურად გაგვიხსენეს, კიდევ ერთი დიდი სახელი - საპატიო დაგვარქვით. სცენაზე ბევრად მჭევრმეტყველი ვიყავი, მაგრამ თქვენი გაზეთისთვის ლაკონურად შემოვიფარგლები.

„ბორჯომ-ქალაქობის“ ზეიმში ღონისძიებას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი **ბესიკ ამირანაშვილი,** ჭიათურა-საჩხერის და ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი **დანიელი,** ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, სამხარეო ადმინისტრაციისა და რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები.



გალა-კონცერტში მონაწილეობა მიიღეს კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან და ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლასთან არსებულმა სიმღერის ანსამბლებმა. პოპულარულმა მომღერალმა **მაგდა ვასაძემ** და ჯგუფმა **„ჩვენებურებმა.“** ღონისძიება ფოიერვერკით დასრულდა.

ბორჯომობა 2022-ის მთვარი გზავნილი გახლდათ **„ჩაიფიქრე სურვილი“,** მოქალაქეებმა საკუთარი სურვილები პარკის ტერიტორიაზე სპეციალურად ამ დღისთვის მოტანილ ნატვრის ხეზე შეაბეს.

**ვალერიან ლომიძე, ნატო მელიქიძე, მონიკა ჭანტურია, იზა იანვარაშვილი**

## სასწავლო პროცესი საბავშვო ბაღებშიც განახლდა



**15 სექტემბერს** სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში განახლდა. აღსაზრდელები კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში მიიღეს აღმზრდელ-მასწავლებლებმა.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყება აღსაზრდელებს და საბავშო ბაღებში დასაქმებულ პერსონალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა **ნინო ბენდელიანმა** პირადად მიულოცეს.

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აღსაზრდელებმა და მასწავლებლებმა ნორმალურ და უსაფრთხო გარემოში შეძლონ სასწავლო-სააღმზდელო პროცესის წარმართვა. ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, პრიორიტეტების მიხედვით, ეტაპობრივად ვაგვარებთ და დღეს ბავშვები ბევრად უკეთეს პირობებში არიან. ჩვენი მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. მინდა წარმატებული სასწავლო წელი ვუსურვო აღსაზრდელებს და მათ მასწავლებლებს, - განაცხადა ოთარ არბოლიშვილმა

### სასწავლო ზარი დაირეკა

## სწავლის ძირი მწარე არის...

**15 სექტემბერს** საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში სწავლის მაუწყებელი ზარი დაირეკა. საზეიმო განწყობა არც ბორჯომის მუნიციპლიტეტის სკოლებს აკლდა, თითქმის ორწლიანი კოვიდ პანდემიის შემდეგ, რომელიც მთელ რიგ რეგულაციებთან იყო დაკავშირებული, უჩვეულოდ დიდი ხალხმრავლობა შეინიშნებოდა მუნიციპალიტეტის სკოლებში. განსაკუთრებულად ბევრი გულშემატკივარი პირველკლასელებს ჰყავდათ, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ ცხოვრების ახალ ეტაპზე.

მუნიციპალიტეტის სკოლებში სასწავლო წელი მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** მიულოცეს, ასევე გულთბილად დალოცა პირველკლასელები და თითოეული მოსწავლე **მამა იონე ხეცურიანმა.**

უჩვეულო სანახაობა მოუწყო №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს სკოლის ადმინისტრაციამ. ზღაპრის გმირებთან და ანიმატორთან ერთად საოცრად ლამაზი მუსიკალური ნომრები შესთავაზეს მოსწავლეებს. წელს №1 საჯარო სკოლამ 51 პირველკასელი მიიღო.

სკოლის ზარი დაირეკა ბორჯომის №3 საჯარო სკოლაშიც. სკოლამ წელს 72 პირველკლასელი მიიღო. ამ ეტაპზე სკოლაში 837 მოსწავლე ირიცხება. როგორც სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ხათუნა ხარაზიშვილმა** განაცხადა, მათ სკოლაში წელს მობილობის მეშვეობით დამატებით 13 მოსწავლე გადმოვიდა.

საზეიმოდ დაირეკა ზარი ბორჯომის №6 საჯარო სკოლაშიც. სკოლას წელს მხოლოდ 25 პირველი კლასელი ჰყავს. სასწავლო წელი მოსწავლეებს საკრებულოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **მერაბ იობაშვილმა** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტმა ქალბატონმა **ნინო ჯომარდიძემ** მიულოცეს. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ქეთევან ხაჩიძემ** აღნიშნა, რომ წლევანდელი წელი ყველასთვის სასიხარულოა, რადგანაც ხანგრძლივი პანდემიის შემდგომ ბავშვები თავისუფლად შეძლებენ საკლასო ოთახებში სწავლის გაგრძელებას, რაც პადაგოგებისთვისაც და მშობლებისთვისაც მეტად სასიხარულოა.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ეროვნული სასკოლო გეგმის ფარგლებში სიახლეებია. პირველკლასელებს ჭადრაკის სწავლება დაემატებათ. ისევე, როგორც გასულ წლებში სახელმძღვანელოები განათლების სამინისტრომ და ბუქები საჩუქრად გადასცა პირველკლასელებს.

**ნატო მელიქიძე**

ჩვენს გარშემო

# ფასდაკლების აქციები - მორიგი მახე მომხმარებლებისათვის?

**ქრისტიანულ** მცნებებს შორის „ნაყროვანებაც“ დასახელებულია ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად და უზნეო საქციელად. „ნაყროვანება“ ანუ: „გაუმაძღრობა“, „უზომოდ ჭამა-სმა და მუცლის ამოყორვა“; ხალხურ-იუმორისტულად: „მუცლის გახეთქვა(!)“. ამ ბოლო გამარტებასთან დაკავშირებით ლუარსაბ-დარეჯანის გარდა მახსენდება დედოფლისწყაროელი ფშაველი სახალხო მთქმელის **იოსებ ბაიაშვილის** ლექსი **„ბაიაშვილ ავად გახდა“.** ამ ლექსთან დაკავშირებით ერთ ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ: 1979 წლის 14 აპრილს თბილისში, ფილარმონიაში ტარდებოდა ხალხური პოეზიის პირველი საღამო, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა. გამოდის ამ საღამოს მთავარი წამყვანი ბატონი **ვახუშტი კოტეტიშვილი** და თავისი ჩახლეჩილი ხმით ამბობს შემდეგ ლექსს:

**„ბაიაშვილ ავად გახდა,**
**მთვრალს შასცივდა ფუხელისა,**
**უცხელებენ ნიორ-წყალსა, -**
**ეგ რა სნეულს უშველისა!**
**ნარეცხ მაინც მაუტანეთ**
**ნაარაყალ ჭურჭელისა!**
**მართამა თქვა (მეუღლემ): დაიმეხოს**
**საქმეში ხელ-უყრელისა, (ე.ი. ზარმაცის)**
**ზომა რაით ვერ გაიგო**
**მაგ გასახეთქ მუცელისა!**
**ავადმყოფმა ჩაიუბნა**
**სიბრძნე დიდი რუსთველისა:**
**„ისევ მაძღრივ სიკვდილი სჯობ,**
**ვიდრე - უსმელ-უჭმელისა!“**

ბატონმა ვახუშტიმ თან დააყოლა: ამ გენიალური ლექსის ავტორი აქვე ზის, სცენაზე არისო და ბატონი იოსები სცენაზე წინ გაიყვანა. მთელი ფილარმონია ფეხზე ამდგარი ტაშით შეეგება მოლექსეს და ხუთი წუთი ტაში და სიცილი არ გაჩერებულა. (მეც სცენაზე ვიჯექი, ხალხურ მთქმელებს შორის, და ერთ-ერთი ხალხური (ფშაური) ლექსი მეც წავიკითხე).

**ხუმრობა და იუმორი იქით იყოს და მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი „ნაყროვანების“ ცოდვაში მაინც „ბანაობს“.** მოდით, ეს მცნება გავაფართოვოთ და ბიზნესსაც რაღაც რაკურსით მივუსადაგოთ, რადგან ბიზნესის განვითარებაშიც არასწორ მიმართულებას, ფულის ხვეჭის „ნაყროვანებას“, ანუ „გაუმაძღრობას“ აქვს ადგილი! საყოველთაოდ ცნობილი და დამტკიცებულია, რომ დღეს მდიდრები უფრო მდიდრდებიან და ღარიბები უფრო ღარიბდებიან. კითხვას ვსვამ: **მდიდრები რატომ ისე არ მდიდრდებიან, რომ ღარიბები უფრო არ გაღარიბდნენ?** მაშასადამე, რაღაც არათანმიმდევრულობასთან, რაღაც უწესრიგობასთან (ფართო გაგებით), რაღაც არანორმალურობასთან და, ჩემი აზრით, სწორედ „გაუმაძღრობასთან“ გვაქვს საქმე! მარტო ამერიკაში 15 მილიონი მილიონერია, კიდევ რამდენია სხვა ქვეყნებში და ამ დროს მსოფლიოში რამდენი მილიონი ბავშვი შიმშილობს! **არ არის ეს კაცობრიობის სირცხვილი?** ამერიკაში მყოფ ერთ მუჭა მილიარდელებს და ტრილიონერებს(!) შემოუკრებიათ მთელი მსოფლიოდან მათსავით უზომოდ გამდიდრებული ერთი მუჭა **მილიარდელ-ტრილიონერები** და საიდუმლოდ რაღაც მასონურ მსოფლიო მთავრობას ქმნიან (შექმნეს). თავისი უზნეო ძალაუფლების ბრჭყალებს უკვე აჩენენ კიდეც: ამერიკის და ევროპის რიგ ქვეყნებში **ერთსქესიანთა ქორწინებებს** აკანონებენ. **არ არის ეს კაცობრიობის სირცხვილი?** (თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ულმერთოებს სირცხვილის გრძნობა ან საერთოდ არ აქვთ, ან ნაკლებად აწუხებთ. (განა ასეთები არ არიან მართლმადიდებლობასთან მებრძოლი ჩვენი ნაცები და არასამთავრობოები?!)



ფულის მოხვეჭის (ანუ ფულით გაუმაძღრობის) ლოკალი დავავიწროვოთ და **მხოლოდ საქართველოზე ვიმსჯელოთ.** საწვავის უზომოდ გაძვირება განა თვისთავად არ მიუთითებს იმაზე, რომ ერთმანეთთან შეხმატკბილებული არიან საქართველოში მონოპოლისტი კომპანიები, მხოლოდ თავისი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ და ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ? ათას მიზეზს მოიდებენ ხოლმე, რომ ეს გაძვირება გაამართლონ! ესეც ბლეფი და ტყუილია! **სამწუხაროა, რომ ხელისუფლება მათთან „ბრძოლაში“ მაინცდამაინც დიდ შედეგებს ვერ აღწევს.** ასევე ითქმის ფარმაცევტულ კომპანიებისგან ხალხის ფეხებზე დაკიდებაზე, როცა წამლებს უსაშველოდ აძვირებენ. ბანკებიც, თურმე, წელიწადში მილიონებს აკეთებენ, როცა ლარის და დოლარის გაიაფება-გაძვირების ხელოვნურ მანიპულაციებს მიმართავენ.

ვისაც ვაჭრობასთან აქვს საქმე, ყველა თაღლითობს, ყველა უზომო მოგებაზე ფიქრობს, შემდეგ - უზომოდ გამდიდრებაზე, კომფორტული ცხოვრების მოწყობაზე და ა.შ. თითქოს ეს ბუნებრივიცაა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სიტყვა „უზომოდ“ მე შემთხვევით არ ვიხმარე. მხოლოდ თავის თავზე, თვის ჯიბეზე ფიქრს **კაცი მიჰყავს ეგოცენტრიზმისკენ,** ხელეჩოსაკენ, რომელიც მხოლოდ თავისკენ თლის. ხალხური სიბრძნე კი ამბობს: ხერხი უნდა იყო, რომ გაგქონდეს და გამოგქონდესო! რუსთაველიც ხომ ამას ბრძანებს: „უხვად გასცემდე, ზღვათაცა შესდის და გაედინების“, მაგრამ ეს სენტენციები „ნაყროვანებისკენ“ მიდრეკილ ხალხს სულ ფეხებზე ჰკიდია!

ახლა ბორჯომში „ჩამოვიდეთ“. ბორჯომი დამსვენებლების გამო ხაშურთან და ახალციხესთან შედარებით ძვირი ქალაქია, ამიტომ აქ ჩამოდიან მოვაჭრეები. **ამ სიძვირის გამო ბორჯომელები თუ რა დღეში ვართ, ალბათ ხვდებით!**

აქაც იგივე წვრილ-მსხვილი გაუმაძღრობის ფაქტებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, ბაზრებში თუ მარკეტებში. ეს გაძვირების ძაფები ცენტრიდან - თბილისიდან მოდის და პერიფერიებში უფრო მსხვილდება და დიდდება!

ქორ-ვაჭრებით გაივსო ბაზრები და მარკეტები. როცა გაზრდილ ფასზე შეედავები, „რა ვქნა, გაძვირდაო“, ამბობენ, თითქოს ამ გაძვირებაში მასაც არ მიუძღვის წვლილი. სოფლელებიც გაეშმაკდნენ: ახლა გადამყიდველებზე ნაკლებ ფასებს არც თვითონ ადებენ პროდუქტებს. ზოგს პროდუქტი ულპება და უფუჭდება, ფასს მაინც არ აკლებს! ყველას კარგად გვახსოვს, პანდემიის მიზეზით მარკეტებში რა კატასტროფულად აიწია ფასებმა პროდუქტებზე, 40-50 პროცენტით გაძვირდა თითქმის ყველაფერი.. უკრაინაში ომის მიზეზით ჩუმ-ჩუმად ფასებს ახლაც უწევენ მაღლა, მაგრამ ხშირად თვითონაც მახეში ებმებიან.

ხშირად დავდივარ მერიის შენობის პირველ სართულზე არსებულ უზარმაზარ მარკეტში. ეს მარკეტი ცნობილია როგორც პროდუქტების უსაშველოდ გამძვირებელი. ახლა კი იძულებულები არიან ფასდაკლების აქციები მოაწყონ უამრავ პროდუქტზე. ფასდაკლების აქცია იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის პროდუქტი ჩაწვა, აღარ იყიდება. **დაინტერესდი, მაინც რამდენს აკლებენ პროდუქტებს?** იქნებ პანდემიამდე არსებულ ფასებზე ჩამოყავთ, ან საგრძნობლად ამცირებენ? - თქვენც არ მომიკვდეთ! დაახლოებით ერთი ლარით, ან 2 ლარამდეა შემცირება! რაც ადრეული ფასის 10-15 პროცენტია! ღარიბი მოსახლეობა იმ შემცირებულ ფასიანსაც ვერ ყიდულობს, ისევ იმდენად ძვირია პროდუქტი. **ნუთუ არ შეუძლიათ ამ მარკეტის ხელმძღვანელობას, ისე გააიაფონ ეს პროდუქტები, რომ ღარიბებისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს მათი ფასი?** არა, ასე არ უნდათ, ხალხი მათ, ფაქტიურად, ფეხებზე ჰკიდიათ. არადა, ზემოთ დასახელებულ მარკეტში ფანტასტიური გაძვირების გამო თავის დროზე უზარმაზარი მოგება ნახეს. ფაქტიურად, ეს დასახელებული მარკეტი ზაფხულის დღეებში თითქმის ასი ათასამდე ვაჭრობს, ალბათ მილიონერებიც არიან, მაგრამ ფასდაკლების აქციებზე მაინც ძუნწობენ და მწყრალად არიან.

ასეც ხდება: პროდუქტებზე ფასს აუწევენ, შემდეგ დაუწევენ იმ აწეული ფასის 10-15%-ით და ხალხს ატყუებენ: გავაიაფეთო!

ასევე ითქმის ამ მარკეტის ქუჩის მოპირდაპირედ მდებარედ არსებულ „ნიკორას“ მარკეტზე, სადაც იძულებულნი არიან ფასდაკლების აქციები მოაწყონ. თუმცა ეს აქციები მაინც მახეა ღიარიბი მომხმარებლებისათვის!

მოდი და ნუ გაგახსენდება „ქრისტიანული“ **ერთ-ერთი ცოდვა „ნაყროვანება“,** რომელიც ამჟამად მთელს მსოფლიოში მხოლოდ ბიოლოგიურ პროცესს კი არა, **„ფულით გაუმაძღრობასაც“ და მაშასადამე, სულით გაღარიბებასაც გულისხმობს!**

**ასევე ითქმის საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში** არსებულ ათასობით მარკეტ-მაღაზიებზე თუ ბაზრობებზე, სადაც იძულებულ ფასდაკლების აქციებს მიმართავენ, მაგრამ თურმე ესეც მახეა ღარიბი მოსახლეობის (მომხმარებლის) მისატყუებლად, რომ როგორმე გაასაღონ ჩაწოლილი საქონელი. არადა, **მსხვილმა კომპანიებმა რომ მოსახლეობის ხელმისაწვდომ ფასებში გაყიდონ ფასდაკლებული პროდუქტი, განა ორივე მხარე არ ისარგებლებს?** არა, ასე არ უნდათ, იმიტომ რომ, ეს მსხვილი კომპანიები „ნაყროვანების“ ცოდვით არიან დასნეულებულები!

**უშანგი ჯანგირაშვილი**

---

უფალო შეგვიწყალე!

# გულსაკლავი ლოდები მოსჩანს პაპასთან!

**თბილისური ზაფხულის თაკარას, წაღვერში გავერიდეთ და აგვისტოს ბოლოს სოფელ მზეთამზეს, ნაცნობ ადგილს მივაშურეთ! ჩვენი კეთილი მასპინძლის აივნიდან პირდაპირ მოჩანს გადამწვარი მთა-გორი, ბორჯომში გაჩენილი დიდი ხანძრის კვალდარჩენილი, გულს რომ უკლავს ადამიანს! ახლაც იწვის ეს სამოთხე და მძიმე ასატანია მისი ხილვა!**

**ცეცხლი, ყველგან ცეცხლი!**

**რატომ? აქვს ამას ლოგიკური ახსნა, თუ ყველაფერი შემთხვევითობაა? დივერსიული აქტებია, თუ ბუნებრივი კატაკლიზმები?**

**ამის გაგებას ბევრი ცდილობს დღეს და მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, ეს წერილიც ამ ფიქრმა დამაწერინა!**

**მარიამობამდე** ცოტა ხნით ადრე შევიტყვე, რომ აქვე, სოფლის ბოლოს ღვთისმშობლის საყდარი ყოფილა და მას მივაშურე, ჯალაბთან ერთად, მაგრამ გულსაკლავი სურათი დაგვხვდა! ასწლოვან ხეებში ჩაფლულია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაქცეული, ქვის ყორედქცეული სალოცავი! უზარმაზარი ხავსიანი ლოდები გულსაკლავად აჩონჩხილა, ვიღაცას მადლი უქნია, ეზო შემოუღობავს, ნატაძრალიც გადაუხურავს, ქვათაშუა ბოლნურჯვრიანი ნათალი ქვაც ნიშად დაუდგამს და ზედ უამრავი სანთლის ნაღვენთიც მოწმობს, მას ხშირად აკითხავენ შეჭირვებულნი, მაგრამ მაინც შაჰის მიერ ძვლებგადამტვრეულ ქეთევან კახთა დედოფალს მაგონებს იგი!



როდის და რატომ დაინგრა ერთი გამორჩეული ტაძარი ამ უძველესი კუთხისა? რატომ არავინ იზრუნა მის აღდგენაზე?

მარიამობას კვლავ მივაშურე ამ სიწმიდეს, ქალრძალით. ეზო-საქონლის ფუნით, სამშენებლო და საჭმელ-სასმლის ნარჩენებით სავსე, უწყლო და გადახრიოკებული!

შეძლებისდაგვარად გავწმინდეთ, გავალამაზეთ ნიში და მიმოფანტული ხატები მოვაწესრიგეთ, სანთლები დავუნთეთ და პირჯვარიც ვისახეთ, მაგრამ ჩემს ბაგეს გაუჭირდა თქმა ორი მაგიური სიტყვისა: „უფალო, შეგვიწყალე!“

ეზოს ბოლოს წელში ვაგლახადმოხრილი ბერიკაცი გამოჩნდა, მოგვესალმა, დღეობა მოგვილოცა, ნიშთან ჩაიმუხლა, სანთლები აანთო და დიდხანს გულიანად ილოცა! მითიურ ჟამიერას, მებარგე-ვარსკვლავთმისანს ვამსგავსე იგი და არ დავაყოვნე, გარეთ გამოვიდა თუ არა, იქვე ლოდზე ჩამოჯდომა შევთავაზე და მეც გვერდით მივუჯექი.

- მეცხრე ათეულ წელს ვითვლი, აქა ვარ დაბადებულ-გაზრდილიო, მითხრა.

● **როდინდელია ეს საყდარი, ან რამდენი ხანია, რაც დაინგრა?**

- ორი საუკუნის წინ დაქცეულა, ასაკით კი ძალიან დიდია.

● **ეტყობა კიდეც, ეს ამხელა ნათალი ლოდები ვინ და საიდან მოიტანა, აქ ასეთ ქვებს ვერსად ვხედავ!**

- მე აგერ, ამ ლობის გადაღმა მიდგას სახლი, მთელი ცხოვრება აქ გავატარე, ათიოდე წლისა ვიყავ, მაგრამ კარგად მახსოვს, თბილისიდან ჩამოვიდნენ, არქეოლოგები ვართო, ეს ეზო გადათხარეს, 3-4 მეტრიანი კაცის ჩონჩხები ამოიღეს და წაიღეს.

● **მაშ, ციკლოპური ნაგებობა ყოფილა.**

- კი, გოლიათი ხალხი ყოფილა აქ ადრე, იმათ აუშენებიათ!

● **ნუთუ, არავინ დაინტერესებულა მისი ბედით, არავის უფიქრია მის აღდგენაზე?**

- ეჰ, რამდენჯერ მივმართეთ გამგეობას, ეს ეზოც დიდი ძალისხმევით შემოვღობეთ, ამანაც ვერ უშველა, სანახიროდაა გადაქცეული აქაურობა! - სიტყვას მძიმე დარდი ამოაყოლა ბერი პაპამ, - აგერ რომ შენობა დგას, ეგ ბოსელია, საღორე და საქათმეც იდგა მაგის გვერდით, მაგრამ დაინგრა!

● **ვინ ააშენა ამ ადგილას, როგორ გაბედა?**

- ერთი ჩვენი ახლობლისაა, მამაჩემი ღრმადმორწმუნე კაცი იყო, ბევრჯერ გააფრთხილა, აილე, ამ ალაგს ნუ ბილწავ, ცუდად მოგიბრუნდებაო. არ დაუჯერა, მერე კი... მთელი ოჯახი გაწყდა, მემკვიდრეც აღარ დარჩა იმ უბედურს!

● **ადრე დიდი იქნებოდა ეს სოფელი, მაგრამ უწყლოდ როგორ არსებობდა, მასპინძელი ამბობს, ბოსტანსაც ვერ ვაკეთებ, წყალი არ გვყოფნისო!**

- კი, არც უწინ იყო სარწყავი არხები მთაში, მაგრამ ყველაფერი მოგვყავდა, ხორბალსაც ვთესავდით და სიმინდსაც, ბოსტნეულიც ბლომად მოდიოდა.

● **როგორ ახერხებდით ამას?**

- უწინ ასეთი გვალვა არ იყო, მიწა ცვარნამით ირწყვებოდა, წელიწადის ოთხი დრო გვაძლევდა ამის საშუალებას, ახლა კი...

- ახლა გლობალური დათბობაა... იწვის ქვეყნიერება... ეს მარტო ბუნების ბრალი არაა, ჩვენც ვუწყობთ ხელს ამაში!

● **ალბათ, ცეცხლის გაჩენაში დივერსიებს გულისხმობთ!**

- არა, შვილო, ჩვენს დაუდევრობასა და უსულგულობას! როგორ ფიქრობ, უწინ არ იყო ცეცხლი, თუ მონადირე-მწყემსები აკლდა ამ კურთხეულ მხარეს, მაგრამ ასეთი რამ არ ხდებოდა, ცეცხლი ასე ადვილად არ ჩნდებოდა!

● **რატომ, რა უშლიდა ხელს?**

- ტყე!

● **განა, ტყე ახლაც არაა? - თვალი გადავავლე ხუჭუჭა გორებს, მოხატულ ნაძვნარს.**

- სადღაა ტყე! ეგ, გარედან რაც ჩანს, ფერუმარილიან გონჯ პატარძალსა ჰგავს, შიგნით შეიხედე, სიცარიელეა, გაჩეხილ-გაუდაბურებული, ახოდქცეული ხრიოკი, ეგაა მთავარი მიზეზი! უწინ გაუვალი იყო, წყაროები ყოველ ნაბიჯზე მოჩქეფდა, სველ მიწას კი ცეცხლი ადვილად ვერ მოერევა! წყალი თევზით, ტყე ნადირ-ფრინველით იყო სავსე, მიწა ამიტომაც იყო ღალიანი! ვიცოდით, სად გვეკაფა, სად გამოგვეხშირა, როდის გვეთევზავა, როდის გვენადირა ისე, რომ დედაბუნება არ დაზარალებულიყო!

**აქ ერთმანეთის გვერდით 4 სალოცავია დედადედოფლისა, ამ სოფელსაც მზეთამზე მაგიტომ ჰქვია - მყუდრო, უქარო, ნაყოფიერი წიაღია! სანამ კაცს ამ წიაღისა და წიაღისეულის სიყვარული ჰქონდა, ცაც გვწყალობდა და მიწაც, მაგრამ როცა მტაცებლად ვიქეცით, შემოგვწყრა, წყაროები დაშრა, კალია მოედო აქაურობას, მეწყრები დაშაშრულ მიწას ყოველ გაზაფხულზე ნთქავენ!**

- ღამით ხმა არ გესმის დიდი სატვირთოებისა? გააქვთ და გააქვთ თურქეთში ხე-ტყე! ჩეხავენ უმოწყალოდ, აშიშვლებენ მთას და საკუთარ ქვეყანას მტრულად ექცევიან. შვილო, მერე მოვლენ და პირჯვარს იწერენ, აღარაა განკითხვა და სირცხვილი, იმიტომ, რომ ღვთის შიში დაიკარგა, თუმცა, სულ ტყუილად! აკი გითხარი, რა დაემართა ჩემს ურწმუნო ახლობელს, საქართველოსაც ეს ბედი ელის, დედადედოფლის, ღვთისმშობლის წყენინება არავის შერჩება! - დალიბრულ ცრემლიან თვალებში აკანკალებული, ნაჯაფარ, დაკოჟრილი ხელი ამოისვა, მძიმედ წამოდგა და ხელჯოხზე დაყრდნობილი ჩაუყვა ფერდობს პაპა ჟამიერა, მე კი დიდხანს ველარ წამოვდექ ფეხზე, ისე დამმძიმებოდა დარდების გუდა.

**ზაირა მიქასაძე-ქილაძე.**
**დამსვენებელი.**

---

# დასუფთავების კამპანია



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა) იპების თანამშრომლები ყოველწლიურ დასუფთავების კამპანიაში „დავასუფთაოთ მსოფლიო“ ჩაერთვნენ და სხვადასხვა ტერიტორია დაასუფთავეს.

საქართველოში კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო“ 2010 წლიდან საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები - საქართველოს ინიციატივით ტარდება. კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

2022 წლის მსოფლიო დასუფთავების კამპანიის გზავნილია - ადგილობრივი გარემოსდაცვითი ქმედებების მხარდაჭერა, რათა შეიცვალოს სამყარო.

# სამუშაოები დასრულდა



**ბაკურიანში, შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.**

**სამუშაოების ფარგლებში, წაქაძის ქუჩაზე და სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ჯამში, 730 მეტრი არმირებული ბეტონის საფარიანი გზა დაიგო.**

**გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განსახორციელებლად, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 477 458 ლარი გამოიყო.**

ჩვენი კურორტის ბიბლიოგრაფია

# ვიცნობდეთ ბორჯომის მემატიანეებს

**თ. ჩიქოვანის** სამხრეთმცოდნეო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი (გამოც. 1987 წ.) სათაურით **„ზემო ქართლი“** ეძღვნება სამხრეთ საქართველოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან რეგიონს. დაინტერესებული მკითხველი მასში გაეცნობა ამ მხარის გეოგრაფიის, გეოკლიმატურ პირობებს, აქ მომხდარ ისტორიულ პერიპეტიებს, ყოფით კულტურას და ბევრ სხვა საინტერესო მასალებს.

ავტორი მიუთითებს, რომ ზემო ქართლი **თორის მხარეს, სამცხეს და ჯავახეთს მოიცავს.** მისი ტერიტორია ტაშისკრიდან იწყება და დასავლეთით თითქმის შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

ზემო ქართლის ამჟამინდელი ტერიტორია 6463,7 კვკმ. შეადგენს და ექვს ადმინისტრაციულ რაიონადაა დაყოფილი ბორჯომის (1189,0 კვ.კმ.), ახალციხის (1023,1 კვ.კმ), ადიგენის (839 კვ.კმ), ასპინძის (822,4 კვ.კმ), ახალქალაქის (1235 კვ.კმ) და ნინოწმინდის (1355,4 კვ.კმ).

ავტორთა ჯგუფის **გ. გოშაძის, ა. ჟუღლოვის, ა. ზამკოვის, ი. თოფჩიშვილის, ნ. შანიძის** მიერ 1973 წელს რუსულ ენაზე გამოცემული იქნა სქელტანიანი წიგნი „მეგობრობის გზა“, რომელიც ეხება ამიერკავკასიის ელექტროფიცირებული რკინიგზის 100 წლისთავს.

წიგნში მიმოხილულია ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის ისტორია და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები. ბორჯომელებისათვის საინტერესო ისაა, რომ აღნიშნულ ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ბორჯომში რკინიგზის შემოყვანის (1894 წ.) და ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის (1902წ.) შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის **მიხეილ თვაურის** ნაშრომების შესახებ. ცნობილმა დასტაქარმა სამი ნაშრომი დაუტოვა ბორჯომსა და ბორჯომელებს.

პირველ წიგნში სათაურით **„ბორჯომის სამხედრო სანატორიუმის ისტორიული ნარკვევი“** (გამოიცა 1999 წელს) მიეძღვნა აღნიშნული სანატორიუმის დაარსების 65 წლისთავს და ასახავს ბორჯომის სამხედრო სანატორიუმის განვითარების ეტაპებს, მისი არსებობიდან ვიდრე 1999 წლამდე. ამჟამად აქ რეკონსტრუქციის შემდეგ დაემატა ორი ახალი მრავალსართულიანი კორპუსი. განთავსებულია სასტუმრო **„ბორჯომი-პალასი“**, რომელშიც უმაღლეს დონეზეა დამსვენებელთა მკურნალობა და დასვენება.

შემდეგი ორი წიგნი მიხეილ თვაურმა მიუძღვნა **„კურორტ ბორჯომს და მის უნიკალურ მინერალურ წყლებს“** ნაშრომი ორ ნაწილად არის გამოცემული 2000 და 2002 წლებში, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ - თავისი დამახასიათებელი თვისებებით ბორჯომის მინერალური წყლების შესწავლა და კურორტის მშენებლობა, პირობითად სამ ძირითად პერიოდად შეიძლება დაიყოს: **დაფუძნების, აღორძინებისა და განვითარების პერიოდებად.**

აღნიშნული მონოგრაფია მიზნად ისახავს იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ეხება ბორჯომის მინერალური წყლების შესწავლის სამედიცინო საკითხებს.

**გურამ გასიტაშვილის** წიგნი „ხის დამუშავების ხალხური წესები“ (გამოიცა 1962წ.) განკუთვნილია ეთნოგრაფებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს ხის დამუშავების ერთ-ერთ ცენტრში (ბორჯომის ხეობა) მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ნაშრომში განხილულია ხუროობის ხალხური ტრადიციები და შრომითი ჩვევები. ისეთი დარგები, როგორიცაა მეტივეობა, მეკევრეობა, მეჭურჭლეობა, ძელური სახლების მშენებლობა, მეყავრეობა და სხვა. გარკვეულია თითოეულ ამ დარგთან დაკავშირებული შრომის პროცესები, ნოსაჭრელი ხის შერჩევიდან მოყოლებული მზა ნაწარმის მიღებამდე, შესაბამისი შრომის იარაღები და სხვა.

**ლევან გოცირიძის და თ. ჩიქოვანის** ბროშურა (გამოიცა 1990 წ.) სათაურით **„ტყის მეურნეობის განვითარება ბორჯომის ხეობაში“** - ეძღვნება ბორჯომის ხეობაში ტყის მეურნეობის განვითარების დარგში მომუშავე მეცნიერთა და მეტყევე-სპეციალისტთა სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის მოკლე მიმოხილვას. ასევე გაშუქებულია სატყეო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეგიდით გამოცემული ბროშურები სათაურით **„ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ცხოველები“, „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გზამკვლევი“, ბორჯომ-ხარაგაულის საველე ცნობარი (მცენარეები).** აღნიშნული ნაშრომები გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და შეიცავს უამრავ ფოტოილუსტრაციას ეროვნული პარკის შესახებ.

ძალზე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა გაზეთ **„ბორჯომის“ რედაქტორმა ბატონმა ვალერიან ლომიძემ,** რომელმაც სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა ფორმატით გამოსცა სამი ბროშურა-გზამკვლევი **„ბორჯომის ხეობა“ და „ბორჯომი“,** სადაც ქვეთავების მიხედვით განხილულია საკითხები „ბორჯომის ხეობა-უნიკალური კურორტი“, „კურორტის მდებარეობა“, „კლიმატი“, „ფლორა და ფაუნა“, „ბუნებრივი სიმდიდრეები“, „საქართველოს სავიზიტო ბარათი“, „მოსახლეობა“, „ადმინისტრაციული მოწყობა“, „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული



პარკი“, „ღირსშესანიშნაობანი“, „ტურისტული ადგილები“, „სასტუმროები“, „ერთდღიანი ტურისტული მარშრუტები“, „ორდღიანი ტურისტული მარშრუტები“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ნაშრომი, რომელიც 2011 წელს გამოიცა საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და გამდიდრებულია ფერადი ფოტოილუსტრაციებით.

გარდა ყოველივე ზემოთაღნიშნულისა ჩემს პირად ბიბლიოთეკაში ინახება რუსულ ენაზე 1983 და 1986 წლებში გამოცემული ბორჯომის ტურისტული სქემა. ასევე 1989 წელს გამოცემული და 1991 წელს შესწორებული გამოცემა ბორჯომის ტურისტული გეგმის შესახებ.

აქვეა იმდროინდელი საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს მიერ გამოცემული „ტურისტული საქართველოს ილუსტრირებული სქემა“ (ქაღალდის ფორმატი 62X100, (რუსულ ენაზე) და იმდროინდელი საბჭოთა კავშირის გეოდეზისა და კარტოგრაფიის მთავარი მმართველის მიერ 1978 წელს გამოცემული სქემა „საქართველოს სსრ“ (რუსულ ენაზე).

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოთაღნიშნული ტურისტული სქემები და გეგმები, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ გამოცემებთან შედარებით დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე არის გამოცემული, ტურისტული ობიექტების, ძეგლების მარშრუტების და სხვა მნიშვნელოვანი ტურისტული ინფორმაციებით მდიდარია სავსე და 20-30 წლის წინ გამოცემული ბროშურები და სქემები კვლავაც არ კარგავენ აქტუალობას.

კარგი იქნება თუ მკვლევარები დაინტერესდებიან ზემოთაღნიშნული გამოცემებით და გარკვეული ფინანსების გაღებით შესაძლებელი გახდება ერთ დიდ სქელტანიან წიგნად გამოცემა, რაც სრულად დააკმაყოფილებს ბორჯომით და კურორტით დაინტერესებულ ათასობით ადამიანს.

P.S. **შესაძლოა ჩემს მიერ დამუშავებულ თემას, სრულყოფილების და ყველა მასალის გაცნობის პრეტენზია არ ჰქონდეს, მაგრამ როგორც აღვნიშნე, თუ ვინმე გამოჩნდება და ჩემს მიერ ჩამოთვლილ გამოცემებს და ნაშრომებს სხვასაც დაამატებს, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.**

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

**რედაქციისაგან: ბატონ თემურ ხუხუნაიშვილს ვრცელ წერილში დაწვრილებითაა აღწერილი XX საუკუნეში გამოცემული წიგნების და ბროშურების არასრული მიმოხილვა. ბორჯომის შესახებ მის მიერ შეგროვილი მასალები მნიშვნელოვანი შენაძენია ბორჯომელი და არამარტო ბორჯომელი მკითხველისათვის. ცალკე საუბარი შეიძლება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ, რომელიც ნამდვილად ფასდაუდებელი შენაძენია ჩვენი კურორტ-ქალაქისათვის, სამწუხაროდ, განვლილი 30 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შეიბღალა ბორჯომის, როგორც ბალნეო-კურორტის სახელი და ღირსება.**

**ამ მნიშვნელოვან თემებზე ვრცლად საუბარი მოგვიწევს მომავალში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბორჯომმა აღიდგინოს ტრადიციული სახელი, რომელიც XIX-XX საუკუნეებში ჰქონდა მოპოვებული.**

**დასასრული. დასაწყისი იხილეთ. გაზ. „ბორჯომი“, №37-38 2022წ.**

ჟურნალისტის სვეტი

## გვეამაყოს სკოლის ცოდნით



**სწავლის შედეგს ბოლო 1 წლის განმავლობაში მომზადების საფუძველზე რომ ითვლიან აბიტურიენტები და სამაყით ამბობენ, 1 წლის შრომა დაგვიფასდაო, პირდაპირი მნიშვნელობით ყურს და გულს არც თუ სასიამოვნოდ ხვდება. არა, ეს არ უნდა იყოს ერთი წლის განმავლობაში ნასწავლით დაფასებული შრომა, არამედ ეს უნდა გახდეს სკოლაში წლების მანძილზე მიღებული განათლების შედეგი. მომზადების გარეშე გრანტის აღებას სკოლის ცოდნით ვერ შეძლებენო, არადა თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას საგულდაგულოდ გადავხედავთ, სკოლის მასალების ცოდნა და გააზრება მოეთხოვება მოსწავლეს, რომელსაც სკოლაში შესვლის პირველივე დღეს უვითარებს და ასწავლის პედაგოგი.**

**მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ცოდნასთან ერთად სწავლების საწყის ეტაპზე სწავლა ვასწავლოთ. იცოდნენ როგორ და რატომ უნდა ისწავლონ?! რას მისცემს სამომავლოდ მათ განათლება და როგორ გამოიყენებენ მას პრაქტიკულ გარემოში.**

**ვინ იღებს გრანტს?! მომზადებული და არა მხოლოდ სკოლის ცოდნით დატვირთული აბიტურიენტები. სოციალურ ქსელში წერდნენ, მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნით გრანტს ვერ მოიპოვებო, აქ მეტი ცოდნა და უნარებია საჭიროო, მშობელმა თუ არ მოამზადა, შეუძლებელია მიიღოს დაფინანსება და ჩაირიცხოს სასურველ ფაკულტეტზეო, ვის უწევს სწავლისთვის პირადი ფინანსების მობილიზება, მათ ვინც საკუთარი ძალებით მოუმზადებლად სცადა და ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში სასურველ ფაკულტეტზე და გრანტის გარეშე გახდა სტუდენტი.**

**აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს აქვს მთელი რიგი პროგრამის ჩამონათვალი, რომლებზეც სწავლება აბიტურიენტს გრანტის მოპოვების გარეშე უფასოდ შეუძლია სწავლა, მაგრამ არა ყველას იურიდიულ და ბიზნეს ადმინისტრირებაზე სწავლა სურს, რატომ ისწავლის ისტორიულზე, ფილოლოგიურზე, ვეტერინარიულზე, პოპულარულ და პრესტიჟულ ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებში სწავლა შესაბამისად სოლიდურ თანხებსაც უკავშირდება, რომელსაც თავად აბიტურიენტები უწევენ კამპანიას.**

**უმნიშვნელოვანესია, მოსწავლემ ზუსტად იცოდეს და აცნობიერებდეს არჩევანს, რას მისცემს მიღებული განათლება სამომავლოდ. იცოდეს, როგორ შეძლოს სწავლა და რეალიზება საზოგადოებაში. მიიღოს კარგი განათლება ჯერ სკოლაში მასწავლებლებისგან და შემდეგ უნივერსიტეტში ლექტორებისგან. გვეამაყოს სკოლაში შეძენილი ცოდნით და არა მხოლოდ 1 წლის მომზადების შედეგად მიღებული თავდაუზოგავი ცოდნით.**

**ია იანვარაშვილი**

განათლებას მაღალპროფესიული ადამიანები ესაჭიროება

# უფრო მეტად განვითარებული თაობაა



**ქართული** ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, **ლილი შაყულაშვილი** ბორჯომის მუნიციპალიტეტის, სოფელ ტაძრისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის სკოლის კურსადმთავრებული გახლავთ. მშობლიურ სკოლაში 2018 წლიდან მუშაობს. თუმცა მშობლიურ სკოლაში მუშაობამდე მან ხანგრძლივი გზა გამოირა და ამ წლების მანძილზე საკმაოდ დიდი გამოცდილებაც შეიძინა.

სკოლის დასრულებისთანავე 2010-2014 წლებში სწავლა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ფილოლოგიის მიმართულებით გააგრძელა (მეორე პროფესია ინგლისური ფილოლოგია). ბაკალავრიატის დასრულების შემდგომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამა **„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“** ფარგლებში, 2014-2015 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ იფნარის, ბაქარ კარალოვის სახელობის სკოლაში მუშაობდა მოხალისე-პედაგოგად. 2015-2017 წლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაამთავრა მაგისტრატურა, ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით. 2017 წლიდანვე მუშაობა დაიწყო ახალციხის კერძო სკოლა **„მზექაში“,** სადაც დაახლოებით ნახევარი წელიწადი იმუშავა, ხოლო 2018 წლიდან ტაძრისის სკოლაში დირექტორის მოადგილედ იმუშავა, ერთი წლის შემდეგ ჩააბარა მასწავლებლის გამოცდა და ამჟამად ის უფროსი პედაგოგის პოზიციას იკავებს. 2020 წელს გახსნა სასწავლო ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაცია „RDA“-ის თანადაფინანსებით და ამჟამად აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელია. პედაგოგი ლილი შაყულაშვილი ჩვენი გაზეთის **„საჭირო პროფესიის ადამიანები“-ს** სტუმარია და საკუთარი გამოცდილებისა და მშობლიურ სოფელსა და სკოლაში მუშაობის სირთულეებზე გვესაუბრება:

● **პირველ რიგში გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ. ახლა კი, რაც შეეხება შეკითხვას: - როგორც დამწყებ პედაგოგს, რა მოგცათ პროექტმა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“?**

- შემძინა ბავშვებთან და კოლეგებთან ურთიერთობის გამოცდილება. რთული იყო ენობრივი ბარიერის დაძლევა, თუმცა თანამშრომლობით ეს ბარიერი მალევე დავძლიეთ.

● **რაც შეეხება მშობლიურ სოფელში საკუთარ პედაგოგებთან მუშაობას? რამდენად მარტივია და ამავდროულად რთულიც, რადგანაც სოფელში ხომ ყველა ყველას იცნობს. როგორ ინარჩუნებთ ასეთ სიტუაციაში ბარიერს?**

- თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, ვიცოდი, ჩემს მასწავლებლებთან ერთად უნდა მემუშავა და მარტივი ნამდვილად არ იქნებოდა. თუმცა, რომ დამინახეს, იმდენად გაეხარდათ ჩემი მისვლა, რომ არასდროს, არც ერთს არ უგრძნობინებია ჩემთვის, რომ ისინი ჩემი მასწავლებლები იყვნენ, ან ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ და მეტი იცოდნენ ჩემთან შედარებით. როგორც შვილი და კოლეგა ისე მიმიღეს და გვერდში მიდგანან დღემდე. ხშირად ვეკითხები მათ აზრებს და ანალოგიურად ვილებ მათგან რჩევებს. ძალიან კარგი კოლეგიალური ურთიერთობა გვაქვს.

რაც შეეხება მოსწავლეებთან ჩემს ურთიერთობას, ვარ ზომიერად მკაცრი და მეგობრულიც. მართალია, აქ ყველა ყველას ნაცნობია და ოჯახის ახლობელიც შეიძლება იყოს, მაგრამ სკოლაში მე მასწავლებელი ვარ და ყველა მოსწავლე ერთნაირად მნიშვნელოვანია ჩემთვის. ეს იცის ყველა მოსწავლემ.

● **თქვენ გაიარეთ საკმაოდ რთული პერიოდიც, პანდემიას ვგულისხმობ... ხშირად ონლაინ ტარდებოდა სასწავლო პროცესი. როგორ გაიხსენებთ იმ პერიოდს?**

- ძალიან რთული იყო პირველ რიგში მოსწავლეებისთვის, რადგან ზოგს უჭირდა გაკვეთილზე ჩართვა, უბრალოდ ინტერნეტის ან უბრალოდ კომპიუტერული უნარ-ჩვევების უქონლობის გამო. მეტწილად დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან იყო პრობლემები. პედაგოგებს შედარებით გაგვიადვილდა, რადგანაც ჩვენი სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტრენერებმა კარგად გაგვარკვიეს პლატფორმა „ტეამს“-ის ყველა ფუნქციაში. ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ასევე ინტერნეტის ცუდი ხარისხი, რადგან სოფელში არ გვაქვს კაბელური ინტერნეტი. თუმცა, ეს პერიოდიც ასე თუ ისე დავძლიეთ.

● **წელს, საბედნიეროდ საკლასო ოთახებში მოგიწევთ სასწავლო პროცესის დაწყება...**

- საბედნიეროდ, ჩვენ სკოლაში წინა სასწავლო წელიც საკლასო ოთახებში მიმდინარეობდა. დაახლოებით ორი-სამი კვირა ვიყავით ონლაინ სწავლებაზე. თუმცა, მოხარული ვარ, რომ ამ ეტაპზე უშუალოდ სკოლაში მოგვიწევს სასწავლო წლის დაწყება.

● **თქვენ ხელმძღვანელობთ სასწავლო ცენტრსაც. ძირითადად რომელი კლასის მოსწავლეები გყავთ?**

- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, რომელთაც ყველა საგანში ვამზადებ. ასევე აბიტურიენტები, რომელთაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჭირდებათ დახმარება.

● **ამ ბოლო წლებში შეიცვალა ზოგადი განათლების სისტემა. საინტერესოა, თუ რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე პედაგოგებს აღნიშნული სისტემა?**

- დიახ, ეს გახლავთ ახალი მიდგომები სწავლებაში, ახალი გამოწვევები, ხდება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. რა თქმა უნდა, ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია და თითოეულ მათგანზე უნდა იყოს სასწავლო პროგრამა მორგებული. ეს ის ძირითადი მოთხოვნებია, რასაც თანამედროვე პედაგოგები უნდა აკმაყოფილებდნენ.

● **ზოგადად, ახალ თაობას როგორ დაახასიათებდით?**

- როგორ გითხრათ, ჩვენი თაობისაგან განსხვავებით ახლა შედარებით რთული და სხვა მხრივ უფრო მეტად განვითარებული თაობაა. აღსანიშნავია, რომ მეტ დროს ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში ატარებენ. ხოლო პანდემიის პერიოდმა ძალიან ბევრი მათგანი რამდენიმე ნაბიჯით უკან დახია. თუმცა, მჯერა, რომ მთავარია მონდომება, რაც ნამდვილად გააჩნიათ ჩვენს ახალგაზრდებს და ისინი ამ დაკარგულ შესაძლებლობებს მალე ამოავსებენ.

● **რას უსურვებთ ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს?**

- პირველ რიგში, ყველას მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ, ჯანმრთელობას და უფლის წყალობას, შემდეგ თითოეულ მათგანს ჩანაფიქრებისა და მიზნების ასრულებას. ნაყოფიერი სასწავლო წელი გვქონოდეს ყველას.

ესაუბრა
**ნატო მელიქიძე**

# ვულოცავთ!



**ახალდაბის იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის მრევლი,** დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენი ტაძრის წინამძღვარს **დეკანოზ ილია (ესართიას)** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და სულიერ სიმტკიცეს, ღმერთმა დალოცოს და გაახაროს მის ოჯახთან და მრევლთან ერთად.

# გულწრფელი მადლობა დაფასებისათვის



80 წელი ცოტა არაა. ხანდაზმულობის, მოხუცებულობის დასაწყისია და ამ ხნის ადამიანი ქვეყნის წინაშე ვალდებულია, განვლილი წლების მოგონებებით აგრძელებდეს ცხოვრებას, მემუარებს წერდეს და შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს უტოვებდეს, რათა ისინი აგრძელებდნენ შენს მიერ განვლილ ცხოვრებას. განვლილი ცხოვრებით.

გუშინდელი დღესავით გაირბინა 80 წელმა. ცხოვრებაში მრავალი სირთულის და გაჭირვების გადატანა მომიხდა, არაერთი დაუმსახურებელი სიტყვაც უკადრებიათ, უსაფუძვლო ბრალდების მომსწრეც ვყოფილვარ, მაგრამ, ღმერთი ყოველთვის ჩემ მხარეს იყო და ვიმარჯვებდი. კარიერულ წინსვლაში არ მყოლია პროტეჟე, ხელის წამომკრავი, არც ფული მქონია ქრთამად მისაცემი. რასაც მივაღწიე, მხოლოდ ჩემი შრომისმოყვარეობით, ცოდნით, პატიოსნებით. ვინც ჩემი წარსული იცის, ალბათ დამეთანხმება, რომ ეს ასეა. ზოგს გულზე არ ეხატებოდა მწვავე, მამხილებელი წერილები, რა ვქნათ, სხვაგვარად არ შემეძლო, კაცი შენი სინდისის წინაშე მართალი უნდა იყო. ჯერ არ დაბადებულა ჟურნალისტი, რომელიც ყველას მოსაწონ წერილს დაწერს.

ჩემი 80 წლის იუბილე ბორჯომის საზოგადოებამ მართლაც დიდი სიყვარულით აღნიშნა. მრავალი თბილი სიტყვა ითქვა ჩემ მისამართით.

კიდევ ერთხელ ვიგრძენი ბორჯომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა, რაც მომავალში დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მომილოცა დაბადების 80 წლისთავი. ხანდაზმულობის მიუხედავად ყოველმხრივ ვეცდები მათი იმედი გავამართლო, სანამ ცოცხალი ვარ, ღირსეულად ვემსახურო ბორჯომს და ბორჯომელებს!

**ვალერიან ლომიძე**

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო



**ახალი სასწავლო** წლის დაწყება სულ სხვა ჟრიამულს ძენს ქალაქს, ქუჩები ივსება მოსწავლე-ახალგაზრდებით და მართლაც რომ გულწრფელი, ლაღი ღიმილით ფერადდება გარემო. ეს სინთეზი კიდევ უფრო ათბობს შემოდგომის თბილ დღეებს.

თითოეული მოსწავლის სახეზე აღიბეჭდება მონატრება მეგობრების, სკოლის, მასწავლებლებისადმი არდადეგების შემდეგ და ორ-სამწლიანი პანდემიის დისტანციები დაცვის კონტაქტური ემოციების გაზიარება უდიდეს დადებით განწყობასა და მისწრაფებების სურვილს უკავშირდება.

სკოლა - ეს მოსწავლის ცოდნის სახლია, მასწავლებელი კი აქ არის მათი მშობელიც, მეგობარიც და წარმატების გზისკენ მანათობელი მოძღვარი. 12 წელი აუცილებლად უნდა იყოს ნათელი მომავლის, მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის, წინსვლის, ბედნიერი და ციმციმა თვალების ასანთებად გამოყოფილი დღეები მოსწავლისათვის.

ამ უნიშვნელოვანესი დღის მთავარი ყურადღების ეპიცენტრს ხომ პირველკლასელები წარმოადგენენ. ის პატარა გულები, უცნაურად რომ უძგერთ, ოჯახისა და სკოლის, მშობლისა და მასწავლების გზაგასაყართან და როგორ ღელავენ მათი მშობლები, უსაზღვრო სიხარულთან და პირად იმედთან ასაცირდება თითოეული მათგანის მომავალი.

სასიამოვნოდ ანათებენ მოსწავლეების ფოტოები სოციალურ ქსელში, უამრავი მილოცვა და სურათი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთ პოზიტიურ, ნაყოფიერ და ბევრ თბილ დღეს ვუსურვებ თითოეულ მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს და გულშემატკივარს. ყოველ დღეს თანდათან მეტი განათლების მიღების სურვილით ანთებულიყოს მოსწავლის გული.

**იზა იანვარაშვილი**

---

**15 სექტემბრის** დილა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში საზეიმო გახლდათ. წაღვერის სკოლის ეზო დილიდანვე შეივსო გახარებული ბავშვებითა და მშობლებით. პედაგოგებმა წარჩინებული მოსწავლეები წაახალისეს და სიგელები გადასცეს. სკოლას სტუმრობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ოთარ არბოლიშვილი, რომელმაც წარმატებები და წინსვლა უსურვა პედაგოგებსა და მოსწავლეებს. - გილოცავთ სწავლის დაწყებას! ჩვენ ქვეყანას აქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მომავალი- მეტი განათლებული თაობა! მნიშვნელოვანია, რომ წარმატებით დაასრულოთ სკოლა, მიაღწიოთ მაღალ შედეგებს. მაშინ ადგილობრივი ხელისუფლება მუდამ თქვენს მხარდაჭერაში იქნება. 1000 ლარს ყოველ სემესტრში მიიღებენ მაღალქულიანი სტუდენტები. ყოველწლიურად იზრდება წარმატებული სტუდენტების რიცხვი და ეს კარგის მომასწავებელია. წაღვერის სკოლა ნამდვილად ერთ-ერთი წარმატებულია რაიონში, კარგი პედაგოგებით, კარგი ინფრასტრუქტურა გაქვთ. მიგულეთ თქვენს გვერდით. ეს ჩემი სკოლაა. მშობლებო, მოგმართავთ ვთხოვნით: მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ შვილებს სწავლაში. ესენი არიან მომავალი მერები, გამგებლები, პროფესორები.

**ირინა ხელისუფალი,** სკოლის დირექტორი: - გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას. პანდემიური ორწლიანი ქარცეცხლიდან პირველად ვხვდებით პირისპირ ერთმანეთს. ეს დღე არა მარტო პედაგოგებისთვის, არამედ მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის მნიშვნელოვანია.. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა კლასში შემოგვემატა მოსწავლეები, წელს 21 პირველკლასელი შემოაღებს ჩვენი სკოლის კარს. ბევრი ნოვაცია გველოდება თაობის წინსვლისაკენ მიმართული, რისთვისაც განათლების სამინისტრო ყველაფერს აკეთებს.

საზეიმო შეხვედრის დასასრულს აღიმართა საქართველოს დროშა და აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

**მონიკა ჭანტურია**

ჭადრაკი

# თამაზ ჩიკვაიძე ჩემპიონია



**წინა** „ბორჯომ-ქალაქობის“ ზეიმისგან განსხვავებით, სამწუხაროდ, ჭადრაკი, ნარდი და ქართული ჭიდაობა წელს სადღესასწაულო თამაშებში არ შეიტანეს. მიზეზად კოსტავას სახელობის პარკის რემონტს ასახელებენ.

მოჭადრაკეებმა მაინც გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ და „ბორჯომ-ქალაქობის“ პირველობა ჩაეტარებინათ. ადრეულ წლებში ჭადრაკში რაიონის ჩემპიონებმა **დათო და თემურ შონიებმა** თავიანთ მარკეტ „მეგა-ტექნიკაში“ სივრცე დაუთმეს შეჯიბრებაში მონაწილე მოჭადრაკეებს. მსაჯობა მათ მამამ ბატონმა **ნუგზარ შონიამ** ითავა.

ფინალს, როგორც მოსალოდნელი იყო, შემორჩნენ რაიონის უძლიერესი მოჭადრაკეები: მოქმედი ვეტერანი ჩემპიონი, 78 წლის წაღვრელი **თამაზ ჩიკვაიძე** და ბორჯომელები: **ზაზა გულოვი (ბექაური)** და **უშანგი ჯანგირაშვილი**. მეტოქეები თაშობდნენ 25 წუთიან ორ პარტიას.

პირველად ერთმანეთს შეებნენ ჩიკვაიძე და ჯანგირაშვილი. ბორჯომელმა ორივე პარტიაში ყაიმს მიაღწია, თუმცა მეორე პარტიაში ჩემპიონი მუდმივი ქიშით წაგებას გადაურჩა. თამაზმა ორივე პარტია მოიგო ზაზასთან. უშანგიმ კი ერთი პარტია დათმო ამ უკანასკნელთან. ამრიგად, ადგილები ასე განაწილდა: I - **თამაზ ჩიკვაიძე, II - უშანგი ჯანგირაშვილი, III - ზაზა გულოვი (ბექაური).**

გამარჯვებულს თასი გადასცა სპონსორმა, ბარბარე შონიას მამამ **დათო შონიამ.** სიამაყით აღინიშნა, რომ სწორედ ამ „კლუბში“ დაფრთიანდა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი 9 წლის **ბარბარე შონია.**

მოჭადრაკეები აპირებენ, ახალ წლამდე ჩაატარონ რაიონის მორიგი ჩემპიონატი როგორც უფროს ასაკში, ასევე მოზარდებში. იმედია, კულტურისა და სპორტის განყოფილება მოჭადრაკეებს გვერდში ამოუდგება.

**უჩა არაბგვისპირელი**

# მილოცვები და ამაღელვებელი მილოცვები

**ქეთევან გრიგალაშვილი, ბორჯომის №1 საბავშვო ბაღის დირექტორი:** - დღეს 94-ედ აჟრიამულდა №1 საბავშვო ბაღის ფერადი და ლამაზი ეზო. ყველაფერი გააკეთა გუნდმა იმისათვის, რომ პატარებს სასიამოვნო გარემო დახვედროდათ. თითოეულ თანამშრომელს გილოცავთ ახალ სასწავლო წელს და წარმატებებს გისურვებთ.

კუდრაჭა გოგო-ბიჭებო, ფერად და ბედნიერ წლებს გისურვებთ. მიხარია, რომ თქვენ ჩვენთან ხართ.

წელს, №1 საბავშვო ბაღიდან თითქმის 80 აღსაზრდელმა მიაშურა ქალაქის სხვადასხვა სკოლებს. განსაკუთრებით მინდა სწორედ თქვენ მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი დღე, მოგეფეროთ და ძალიან ბევრი წარმატებები გისურვოთ.

ყველას გილოცავთ ახალ სასწავლო წელს.

**მარინა გელაშვილი, ქართული ხელოვნების ცენტრის დამფუძნებელი ისრაელში:** - პირველი სასკოლო ჩანთა ბებოს მეგობარმა, საჩუქრად რომ გამოუგზავნა, გულდასმით გადაჩხრიკა. დილით სკოლის კარსაც შეაღებს და იმედია წინააღმდეგობაში არ მოვა დღევანდელ განათლების სისტემასთან, რადგან ბებო ისრაელიდან ასწავლის:

**ეს წიგნი ერის ბურჯია, ხარობენ მამა-პაპანი,**
**ხარმა თქვა, მეც შიგ ჩამტიეთ,**
**ერის მეც ვზიდე ჭაპანი!**

ჰოდა, რა ხარიო, რა ბურჯიო, რა ერიო, რა აი ია ო... არავის გააბედინო ბებო!

ქართველად გაიზარდე, პატარა ქართველო, ამირაჯიბის ქალებივით ისტორიულ სუფრებს თუ ვერ მოჰქარგავ, სამშობლოს დროშის ფერი სხვა ფერებში არასოდეს აგერიოს!

ელენე!

**მარინა ზედელაშვილი, ჟურნალისტი, რედაქტორი:** -ექვსი წლის წინ, ბედნიერმა, ქვეყანას ვამცნე, რომ მარიამი დაიბადა... ახლაც მსურს, ყველას გავაგებინო ჩემი სიხარული - მარიამი **პირველკლასელია!**

საინტერესო და წარმატებული სასკოლო ცხოვრება გქონდეს, ჩემო სიხარულო!

უამრავ სანუკვარ სურვილში გამოვარჩევ ერთს, მნიშვნელოვანს - შეიყვარე წიგნი!

ჩემი გული და ფიქრი შენთანაა!

მოამზადა
**იზა იანვარაშვილმა**

# განათლების დიდი მისია!

**სამხრეთ აფრიკაში, სტელენბოსის უნივერსიტეტის შესასვლელში გამოკრულ აბრაზე არის შემდეგი წარწერა: *„ნებისმიერი ერის გასანადგურებლად არ არის საჭირო ატომური ბომბის ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება, ამისთვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და თვალის დახუჭვა, როდესაც მოსწავლე გამოცდაზე იტყუება - ასეთი ექიმების ხელში პაციენტები იღუპებიან, ასეთი ინჟინრების ხელში შენობები ინგრევა, ასეთი ეკონომისტებისა და ბუღალტრების ხელში იკარგება ფული, ასეთი მოსამართლეებისა და იურისტების ხელში იკარგება სამართალი. განათლების კრახი - ერის კრახია.“***

# მოსახლეობის საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, ეკლესიის სამწყსოს სულიერი გაძლიერების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდება სახლების ერთობლივი კურთხევა.

კურთხევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

კურთხევისათვის ოჯახების მომზადების მიზნით, მოსახლეობა 27 სექტემბერს, 16-დან 17-მდე საათამდე, მოძღვარს დაელოდებიან ბინებში.

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია.

# ვანო (პუშკინი) სამსონაშვილის მოსაგონარი



**გილოცავ დაბადების დღეს იმიერ საქართველოში, იქ, სადაც ხარ, 81 წელი შეგისრულდებოდა 20 სექტემბერს. შენ იყავი ჩემთვის ყველაფერი, ახლო და ძვირფასი ადამიანი. სიტყვები ვერ კურნავს საშინელ ჭრილობას, მაგრამ ნათელი მოგონებები შენზე თუ რამდენად გულწრფელად და ღირსეულად იცხოვრე ამ ქვეყანაზე ყოველთვის იქნება სიკვდილამდე დაუვიწყარი. ტკბილად მოსაგონარი ხარ ოჯახის, შვილების და ახლობელ-ნათესავებისათვის, ერთგული და უღალატო, ძლიერი, სანდო და უანგარო, საიმედო და სამართლიანი საყვარელი, კეთილი ადამიანი, პიროვნება იყავი ყველასათვის.**

**შენი ხსოვნა და სახელოვნად გატარებული ვაჟკაცობის წლები, ისეთივე დასამახსოვრებელი იქნება, როგორც შენი სიკეთე ყველა ჩვენგანის მიმართ.**

**სამარადისო ნათელი დაადგეს შენს სულს სასუფეველში. მშვიდად განისვენე. მე მწამს, რომ სიკვდილი გარდაუვალია, ვიცი, რომ გაგრძელება იქნება. შეხვედრამდე...**

**შენი მაგული**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე